აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
ACADEMIC BOARD OF AKAKI
TSERETELI STATE UNIVERSITY

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება N01-04/24

28 მარტი, 2022

„აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რიგ ფაკულტეტებზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2022 წლის 4 მარტის N01-04/19 ბრძანების რიგი პუნქტების ბათილად ცნობის შესახებ

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს მომართა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხელმძღვანელობამ. მომართვის მიხედვით, ფაკულტეტი ითხოვს რიგ მიმართულებებზე გამოცხადებული კონკურსის შეწყვეტას. აკადემიურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება და შეწყვიტა კონკურსის მიმდინარეობა. ამასთან, ფაკულტეტმა აიღო ინიციატივა ახალი ფორმატით წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია. ამრიგად, უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რიგ მიმართულებებზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსთან დაკავშირებით დამატებითი კონსულტაციების, რიგი საკითხების დახვეწისა და დოკუმენტის ახალი ფორმატით წარმოდგენის მიზნით, ვბრძანებ:

1. ბათილად იქნეს ცნობილი „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რიგ ფაკულტეტებზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ რექტორის 2022 წლის 4 მარტის N 01-04/19 ბრძანების დანართის დანართის ის ნაწილი, რომელიც ეხება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიისა და ქართული ფილოლოგიის მიმართულებებზე გამოცხადებულ კონკურსს, კერძოდ:

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

1. **მიმართულება - ინგლისური ფილოლოგია, ქვემიმართულება - ინგლისური ენა**
   ა) პროფესორი - (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 2 ერთეული.
2. **მიმართულება - ქართული ფილოლოგია. ქვემიმართულება - ქართული ენა**
   ა) ასოცირებული პროფესორი - (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

2. ბრძანება ძალაშია 2022 წლის 28 მარტიდან.

რექტორის მოვალეობის
შემსრულებელი — ასოც. პროფ. შალვა კირთაძე